



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**

Legal Entity Public Law

**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
 აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქმი № 17 " 12 " 12 2018 წ

დადგენილება № 75

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ინჟინერიის, აგრარულ და
 საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის
 გამოცხადების, საკონკურსო პირობების და საბუთების მიმღები სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების
 შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, 22-ე პუნქტებისა და 27-ე მუხლის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი:
 - ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:
 - განათლების მიმართულებით:
 - მასწავლებლის განათლება - 1 ასოცირებული პროფესორი
 - უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით:
 - რუსული ფილოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
 - ინგლისური ფილოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
 - ბ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:
 - ინჟინერიის მიმართულებით:
 - ინფორმატიკა - 2 ასოცირებული პროფესორი
 - დარგთაშორისი მიმართულებით:
 - ეკოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
2. კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 14 დეკემბერს, საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 14 იანვრიდან 28 იანვრამდე.
3. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები თანდართული სახით.
4. დამტკიცდეს საბუთების მიმღები სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

- გიული ზედგინიძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მ.შ.
- ნანა ხითარიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტის მ.შ.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებს.

7. საფუძველი: შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოს გადაწყვეტილებები.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ზერიძე